სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელ-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიმართავენ რედაქციის დილის
... საათამდე და საღამოს 6—7
„ც. ფ. სახ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
პირ-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
გაზეთ „ცნობის ფურცელზე"
ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 თებერვალს
ათის წლის მოღვაწეობისათვის ქართულს სცენაზე დანიშნულია
ბენეფისი გ. ვ. გედევანოვისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, მესხი; ბ.ბ. ბოგდა-
ნოვი, სევერსკი და მთელი დასი
წარმოდგენილი იქნება:

### ჯან მეგობრებო!!

კომედ. 4 მოქმედ. თხზ. ვ. სარდუსი. თარგ. კ. ბაქრაძისა.

### დასასრულ დივერტისმენტი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ა. მესხი.

V. VERMOREL
constructeur Villefranche
(Rhone) ვაზის შესასხურებელი
მანქანა „ეკლერ"- გოგირდის შე-
საყრელი მანქანა „ტორპილი".

შაბიამანი
macclesfield
ერთად-ერთი წარმომადგენელი
მთელს რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდონოვი. ტფილისში. (10—5)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი
მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს
... და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით
...—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.
...რმოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-
...ა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
...ანოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—5)

ნაფიცი ვექილის
თანაშემწე
თ. გრიგოლ ნიკ. დიასამიძე
მიიღებს ყოველ დღე დილის
...—10 საათამდე და საღამოს
$4^1/_2$—$6^1/_2$-ადე.
...ლაია სუდებნაია, № 4. ინჟე-
...რის გრინიოვის სახლი. (5—4).

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ძ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოზანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ძ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ბენეფისი გ. გედევანოვისა ათის წლის მოღვაწეობისა ქართულს სცენაზე. როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული დანიშნულია დღეს სათავად-აზნაურო თეატრში.

გ. გედევანოვი სწორედ ათი წელიწადია, რაც ერთგულად ემსახურება ქართულ სცენას და მის ღვაწლს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ ათი წლის განმავლობაში გ. გედევანოვი ქართულ სცენაზე ასრულებდა მრავალ როლებს და განსაკუთრებით სერიოზ კომიკურ როლებს, რომელთა შესრულებაში ბადალი არა ჰყავს ქართულ სცენაზე. განსაკუთრებული ღირსება გედევანოვისა, როგორც მსახიობისა, მაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის გონივრულად ასურათხატებს როლებს და მისგან წარმოდგენილი ტიპი თუ ხასიათი ყოველთვის მოწმობს არტისტის განვითარებულ გონებასა და გემოვნებას. ამ განვითარებულ გონებასა და გემოვნებასთან გედევანოვის ზედ მეტი ღირსებად ჩაითვლება მისი საოცარი შრომის მოყვარეობა და სიბეჯითე.

სრული იმედია, რომ ქართველი საზოგადოება პატივს სცემს ქართული სცენის მუშაკს და ბლომად დაესწრება დღევანდელს წარმოდგენას.

*** ჯვრით სვლა. დღეს, 4 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე ყოვლად-სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გორისა, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის ჰერმოგენის და სხვათა თანამსახურებით, შეასრულებს პარაკლისს წმ. მღვდელმთავრის თეოდოსე უგლიცკის მიმართ ამავე სემინარიის ეკკლესიაში. ამ წმ. მღვდელმთავრის ხატი, რომელიც დღეს ასვენია ამ ეკკლესიაში, 150 მ. ღირს. კიევიდამ ის გამოუგზავნეს საჩუქრად ტფილისის ეკლიანი ხევის (колючая балка) სამლოცველო სახლს. ეს ხატი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ეგზარხოსმა ფლაბიანემ კვირას 31 იანვარს აკურთხა. მასში ჩადებულ იქმნა ეგზარხოსის მიერ წმ. თეოდოსეს სამღვდელმთავრო შესამოსელთა ნაწილი. ამ ხატს, ესრედ წოდებული, ჯვრითსვლითურთ გადაასვენებს სამღვდელოება სემინარიის ეკკლესიიდან სამლოცველო სახლში დღესვე პარაკლისის შესრულების შემდეგ. მეორე დღეს ამისვე გამო ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა, საღმრთო წირვას შეასრულებს ვერის წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიაში. წირვის გათავების შემდეგ მოხდება ჯვრით სვლა ამ ეკკლესიიდან სამლოცველო სახლამდის.

*** თავ. გ. დ. შერვაშიძის გამგზავრება პეტერბურგში. ამ ცოტა ხანში მიემგზავრება ეგერმეისტერი

უდიდებულესის პალატისა თავ. გ. დ. შერვაშიძე.

*** ე. ა. შერემეტიევის გამგზავრება. ამ დღეებში პეტერბურგში მიემგზავრება კავკასიის მთავარმართებლად ნამყოფის ქვრივი ე. ბ. შერემეტიევისა.

*** ტფილისის გუბერნატორის დაბრუნება ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. ფ. ა. ბიკოვი 15 თებერვალს ტფილისში დაბრუნდება.

*** ახალი დანიშნულება. ხმა დადის, რომ ტფილისის გუბერნატორს ფ. ა. ბიკოვს სამოსამართლო უწყებაში ახალ დანიშნულებას აძლევენო.

*** ქართული სახალხო წარმოდგენა. სამშაბათს, 2 თებერვალს, ავჭალის სასადილოში ქართული სცენის მოყვარეთაგან გამართულ წარმოდგენაზე. აუარებელი ხალხი დაესწრო. წარმოადგინეს ოთხმოქმედებიანი კომედია: „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. წარმოდგენამ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა როლები საკმაოდ კარგად არ იცოდენ, მწყობრად და ცოცხლად ჩაიარა. განსაკუთრებით მეორე მოქმედება, როდესაც სცენაზე ავეტიქა და მაქთაღა გამოდის. ანტრაქტებში უკრავდა მურაშკოს მუზიკა.

*** სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე. სენატორი ვრასკი და იმავე პალატის პროკურორი ბ. ვასილიევი გაწვეულ იქმნენ პეტერბურგში სამსახურის გამო.

*** ყალბი ფულის მოჭრის საქმე. 1-ლ თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ცნობილი საქმე მილიციის პოროშჩიკისასკერ გაჯი-კასუმ-ოღლი ზეინალოვისა, მისი ძმის ისმაილოვისა, სტეფან ვარტბარანოვისა და იოსებ სედლეცკისა, რომელთაც ბრალდებოდათ ქაღალდის თუმნიანებისა და ხუთმანეთიანების მოჭრა და გასაღება. როგორც ვუწყით, ოლქის სასამართლომ სცნო რა ბრალდებულნი დამნაშავეებად აღნიშნულ საქმეში, მიუსაჯა ასკერ ზეინალოვს რვა წლის კატორღა, დანარჩენებს-კი ოთხ-ოთხი წლისა. ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ეს განაჩენი.

*** ქალის მოტაცება. ამ რამდენიმე დღის წინად არდანუჩის ნაწილში კიდევ მოიტაცეს ქალი (15 წლისა ფაშა-ბატონი). მოტაცებული ფაშა-ბატონი და მომტაცებლები უკვე მოსძებნეს და გადასცეს ადგილობრივ სიტყვიერ სასამართლოს. „ჩერ. ვ“.

*** ყალბი ფულის გავრცელება. ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გავრცელდა ყალბი ფულის მოჭრა: ვერცხლისა და ხუთ მანეთიან ოქროსი. ამ დღეებში პოლიციამ დაიჭირა ყალბი ფულის მომჭრელები ებრაელი ბენზენი და ქალი ევგენი ტკაჩენკოსი, რომლებიც გამომძიებელს გადასცა.

*** ეპისკოპოსის ბესარიონის ავადმყოფობა. ყოვლად უსამღვდელოესი ბესარიონი, ეპისკოპოსი იმერეთისა, როგორც სწერენ ძრიელ ავად ყოფილა ინფულენციით, ეხლა კი ავადმყოფობას გაუვლია და უკეთობაშია იმდენად, რომ ქაღალდებს შინჯავს და ხელს აწერს ლოგინში.

*** სასოფლო ქსენონები გორის მაზრაში ტფილისის საგუბერნიო მკურნალი ტ. ს. ქიქოძე გორის მაზრაში წავიდა იმის გამოსარკვევად, რომელს ადგილებში უნდა იქმნას დაარსებული სასოფლო ქსენონები

*** მეაბრეშუმეობის საქმე. მიწად-მოქმედების სამინისტრომ, მცხოვრებლებში მეაბრეშუმეობის გასავრცელებლად, დაადგინა ფულით დააჯილდოვოს ის პირნი, რომლებიც წელს საუკეთესო აბრეშუმის ჭიებს გამოიყვანენ.

*** „მოამბე“ № I. ჩვენ მივიღეთ ჟურნალი „მოამბე“ ამ წლის პირველი იანვრის ნომერი შემდეგის შინაარსით:—I „წარსულიდან.—სკოლაში წასვლამდის.“—მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა (გაგრძელება). II—„ქებათა ქება.“—ლექსი ვაჟა-ფშაველასი. III—„გაქსუებული“—ოთხ-მოქმედებ. დრამა დუტუ მეგრელისა. IV—„ჩუმი დარაჯობა“, სერბიული მოთხრობა, იაქშიჩისა, თარგმანი ი. გომართელისა. V—*** ჩუმინიდან, ლექსი ს.—სა. VI—„გლეხი-კაცის ისტორია“, ნაწილი მეოთხე, ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი მაჭავარიანისა (გაგრძელება). VII—„სოლომონ II, მეფე იმერთა“, (საისტორიო მასალა) თ. ჟორდანიასი. VIII—„ვეფხვის-ტყაოსნის ყალბი ადგილები“, LXI, LXII, LXIII, LXIV და LXV ალ. ს—შვილისა. IX—„საქართველოს ისტორია და ბ-ნი ეზოვი“, ა—ლისა. X—„ბიბლიოგრაფია“—I, „საქართველოჲს ძველი დროის თავ-გადასავალი, ლექსად დაწერილი“, გამოცემა დეკ. დავ. ღამბაშიძისა, ფასი ორი აბაზი მ. ჯანაშვილისა. ქრონიკა: XI—„შინაური მიმოხილვა“. XII—„უცხოეთის მიმოხილვა“, ლალისა.

*** ქართლი და მისა გაშენება. ყველაზედ უდიდესი პოლიციის ნაწილი მთელ გორის მაზრაში ხიდისთავის საბოქაულოა. ამ საბოქაულოში შემდეგი სოფლის საზოგადოებანი შედიან: გუჯარეთისა, ქარელისა, ხიდისთავისა, დოესისა, მეტეხისა, ახალქალაქისა, კავთისხევისა, ძეჺვისა, ქვარებისა და რუისისა. ამ უკანასკნელს ჟამებში, როგორც უკვე მკითხველებმა უწყიან, ამ საზოგადოების მიდამოებში საშინელმა სხვა და სხვა სნეულებათ დაიბუდეს და აღარ ეცლებიან. აქ ერთი საზოგადოებაც არ არის, რომ მიგ თავიანთ წარმომადგენელნი არა ჰყვანდეთ ან თავადი, ან აზნაური, ან სოფლის მასწავლებლები და სხვა. არც ერთ მათგანს არც წარსულში და არც აწმყოში არ უფიქრიათ და არც უნდათ იფიქრონ, ჩააგონონ ამ სნეულს ხალხს, რომ ექიმი მათი კეთილდღეობისათვის აუცილებელს მოთხოვნილებას შეადგენს და მისთვის ფულის გარდახდაც არ არის დასანანი, რადგანაც თვითეულ მკვიდრს ექიმისა და აფთეაკის ფული იქნება სულ მანეთიც არ შეხვდეს. მანეთი, მუშა კაცისთვის ორი სამის დღის სამუშაო ჯილდოა და ისკი მთელი წელიწადი ლოგინშია წევს, კვნესის, ჯანი ეკარგება და რამდონი მანეთზედ მეტი აკლდება და ეღუპება ცოლშვილი უპატრონოთ და შიმშილით. და ბოლოს თვითონაც ავადმყოფობის მსხვერპლი ხდება.

მართალია, ჩვენ იმას არ ვიტყვით, რომ გლეხკაცისთვის არაფერს შეადგენდეს წელიწადში ერთი მანეთი, მაგრამ როდესაც ზარალი სჯობნის სარგებელს უნდა საქმე გაიჭიროს. აფთეაკის დასაარსებლად და ექიმის მოსაწვევად არც თავად-აზნაურნი უნდა იყვნენ განთავისუფლებული და ჩვენის აზრით შეძლებისადაგვარად მეტი ხარჯი და ზრუნველობა უნდა ჰქონდეთ, რადგანაც უმეტესად ისინი ისარგებლებენ.

იმედია ჩვენი სოფლების წარმომადგენელნი მიიღებენ მხედველობაში ხალხის უუკიდურეს მდგომარეობას, ჩააგონებენ მცხოვრებთ ექიმის და სამკურნალო ზომების სარგებლობას, დაადგენენ განჩინებას და წარუდგენენ უმაღლეს მთავრობას ნების დასართველად, რომ მთელს საბოქაულოს დაენიშნოს ექიმი და აფთეაქი, მით უფრო ამოდენ დუნდგო ხალხს სრულიად არ გაუჭირდება ამ საგნისთვის დაწესებული ხარჯების ფასი. განსაკუთრებით ვაქცევთ ყურადღებას ახალის ჩვენის ბოქაულის ბ. ბაბალოვისას, რომელიც იმედია, არ დაზოგავს და ზომიერ შრომას მიიღებს და რიგიანად დააგვირგვინებს ამ სასიქადულო საქმეს.

ბაბულა.

*** ს. აცანა. (გურია) სწავლა განათლების საქმე. აცანის ს[აზო-]
ზოგადოება სწავლა განათლე[ბას]
დიდათ ეტანება, მაგრამ მ[...]
ღარიბი და შემოუსავლიანი სა[ზო-]
გადოებაა. რამდენი ხანია ჩვე[ნს]
სოფელში ერთ კლასიანი სამინ[ის-]
ტრო სასწავლებელი არსებო[ბს,]
მაგრამ ჯერ არაფერი შესამჩნ[ევი]
ნაყოფი არ მოუტანია. ამის გ[ამო]
საზოგადოებამ დააარსა, მთავრ[ო-]
ბის შემწეობით, ორკლასიანი [სა-]
სწავლებელი; მასწავლებელი მ[...]
რობამ უკასოდ გამოგზავნა, მ[ხო-]
ლოდ იმ პირობით, რომ საზო[გა-]
დოებას თვის ხარჯზე აეგო [ორ-]
კლასიანი სასწავლებლის მოსათ[ავ-]
სებელი სახლი. ამ საკეთილო [სა-]
მეს დიდის აღტაცებით მიეგ[ება]
მთელი საზოგადოება, ამოირ[ჩია]
ექვსი კაცი და იმათ მიანდეს ს[კო-]
ლის სახლის აგება, მაგრამ სამ[წუ-]
ხარო ის არის, რომ შენობის [და-]
სადგმელი ადგილი ვერ ვიშო[ვეთ]
სახლის ასაგებ მასალის მისაზ[იდა-]
ვად. საზოგადოებას ჰქონდა აზნ[აურ]
ილარიონ ურატაძისაგან შემო[წი-]
რული მიწა, სადაც დღეს სას[ოფ-]
ლო კანცელარია არსებობს, მ[აგ-]
რამ როდესაც ამ ადგილზე [...]
კირის ზიდვა დაიწყეს, ხსენებ[ულ-]
მა ურატაძემ, ნება არ მისცა მ[ათ]
ზიდნათ სახლის ასაგები მასა[ლა,]
რადგან არავითარი ფორმალ[ური]
პირობა არ აღმოჩნდა ადგი[ლის]
შეწირვის შესახებ. საზოგადო[ება]
სთხოვა ურატაძეს ადგილის [და-]
მობა, მაგრამ გადამეტებით ხ[...]
ნა ვედრება მაინც და მაინც [...]
გაგვიწევია, ამიტომ, რომ, ხს[ენე-]
ბული ადგილი სასკოლოდ არ [ვარ-]
გოდა, რადგან ხუთი საჟენის [სი-]
ძილზე ზვავი არის ჩამოწოლი[ლი]
და გარდა ამისა ეს ადგილი [...]
ტანი ჩავარდნილი და ცივები[ა.]
ამის გამო საზოგადოებისაგან [ამო-]
რჩეულმა პირებმა, სკოლის მზ[რუნ-]
ველის თანხმობით, აირჩიეს [...]
მაღალი ადგილი, ყოვლისფ[ერით]
მოსაწონი, და იქ სურდათ აშ[ე-]
შენობა, მაგრამ ჩვენდა საუბ[ედუ-]
როთ, ამ საქმეს დიდი წინააღ[მდე-]
გობა გაუწია ჩვენი სოფლი[ს მე-]
ჭარმა, რომელსაც იქ დუქანი
დადგმული. მოგეხსენებათ ჩვ[ე-]
გაჭირვების ამბავი: ოლონდ [...]
გად ივაჭრონ და საზოგად[ოება]
თუნდ ქაში ჩაცვივდეს. რამდე[ნი]
მოიწვია მამასახლისმა მთელ[ი სა-]
ზოგადოების ყრილობა, [მაგრამ]
ვერაფერს გავხდით, რადგან [...]
მა ბევრი მომხრე იშოვა. [...]
ბული შევიქენით მიგვე[...]
ლანჩხუთის ბოქაულისათვის,
რასაკვირველია, შეიწყნარა [...]
თხოვნა და ბძანება გასცა [...]
რათ ოთხს იანვარს მთელი [...]
გადოება. მობრძანდა თითონ [...]
ქაული და აუხსნა ხალხს საქმის [...]

.საზოგადოებამ დაადგინა გა-
ნი, რომ ეთხოვოს მთავრობას
გამოსარკვევად გამოგვიგზავ-
თვისი რწმუნებული, რომელ-
საქმე ხალხის უმეტესობის
ვილის თანახმად უნდა გადა-
იტოს. განაჩენი უკვე წარედ-
მთავრობას.
– სამკითხვლოს საქმე. დიდი
ა, რაც უფასო სამკითხველო
არსეთ, მთავრობის ნება დარ-
, მაგრამ ზოგიერთმა ვაჟბა
ებმა ამ საქმიდანაც კი გამორ-
მოინდომეს და ოთხმოც მა-
ად აავეს წიგნ საცავის მოსა-
ებელი სახლი; სულ ორმოც
თად ღირებული. მაგრამ ნუ-
საკადრისია გამორჩენა ისეთ
მეში, როგორიც არის უფასო
ითხველოს საქმე. უფრო საი
ო იყო, რომ არა თუ გამოჩე-
მოინდომებდნენ, პირიქით
წეოდენ კიდეც ამ სასარგებლო
ეს.

დ. ჩხაიძე.

## სარგებლო ცნობა

### ღირს სიცოცხლე?

ვილლიამ ჯემსისა

I

ევრ კაცისათვის კითხვა, ღირს
ოცხლე თუ არა, მათი ხასია-
მიმართულების გამო, სულ
მყოფება, ხასიათისა, რომ-
გამოც იგი ვერ შეთანხმებია
აზრს, რომ ქვეყნიერებაზე არის
მე ბოროტება. მაგ. რუსსო,
ელიც ცხრა წლის განმავლო-
ანესიაში იყო, მოგვითხრობს
ტო ერთ ბედნიერებაზე: რო-
ავწერო ის სიხარული, რო-
იც არც ნათქვამია, არც აღს-
ლებული, არც მოფიქრებული,
მედ მარტო უსაბუთოდ ნაგრძ-
ი! ვდგებოდი ადრე, და ვიყავ
ნიერი; ვსეირნობდი, ვიყავ დე-
თან ახლო, ვშორდებოდი მას,
ნტალებდი ტყეში და ზვარებ-
ვხეტიალობდი ღელე ღელე,
ველთვის ვიყავ ბედნიერი; ან
ოხულობდი, ან ვბარავდი ბაღ-
ან ვშველოდი სახლში, ჩემი
ნიერება სულ თან დამყვებო-
არასოდეს არა მტოვებდა არც
წუთს, იგი არა მდგომარეობ-
არავითარ საგანში, არამედ
ი, ჩემს ბუნებაში!
მგვარი გულის მიმართულება
მუდმივი იყოს და ამ გვარი
თი საერთო, მაშინ არასოდეს
შეხვდებოდით ამ კითხვას, რო-
ზედაც ეხლა ჩვენ განვიზრა-
საუბარი. არც ერთი ფილო-
ოსი არ დაუწყებდა დამტკი-
ს იმ აზრს, რომ ცხოვრება
იმათ, რომ კაცმა იცოცხ-
, არამედ თვით ეს ფაქტიც
ებოდა, უფრო ჩქარა, ვიდრე
მივიღებდით პასუხს ამ კითხვაზედ. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ისეთი საოცარი ლონისძიება, რომ ეს მეცნიერების მოყვარე აგებულება გავასაყოველთაოდ, რადგან ამ აგებულობას, რომელიც ხასიათის თვისებაშია ყოველთვის შეეხება სხვა ამის წინააღმდეგი მიმართულება. „ცვლილებითი შეშლილობაში“ (circular chsanity) მონიას ყოველთვის უგარეგონ საბუთად იპოხონდრიის დრო მოსდევს, საბუთი რომელისაც ჩვენ შეგვიძლიან ვიპოვოთ. ერთი და იგივე სახსალამათი პირისთვისაც კი შეიძლება, რომ სიცოცხლე გამოჩნდეს სხივ-ცისკრონების და ბედნიერების განსახორციელებლად დღეს, წყვდიადების და მჭმუნვარების განსახორციელებლად ხვალ. თანახმათ ამ რყევასთან, რასაც მედიცინის წიგნებში ეძახიან გონების მიქცევის გადახარშვას. ცუდი გულის მიქცევის უსწორ-ზომიერება რუსსოსი ითმენს ცვლილებას ხდის მას იპოხონდრიის მსხვერპლად უკანასკნელ დღეებში, სკვნის მასში იჭვიანობას და დევნილობის შიშს. ზოგიერთს, როგორც სჩანს, დაბადებიდანვე დაჰყვებათ ხოლმე ბედნიერებისთვის მიუწდომელი გული. მაგ. პოეტთა შორის შეგვიძლიან აღვნიშნოთ ლეოპარდი და ჩვენი მედროვე ჯემსი თომსონი. უკანასკნელი თავის წიგნში: „Fhe City Dreadxul Nidht“-ში სხვათა შორის ამბობს სიცოცხლეზე: „იგი მალე ისპობა, და არასოდეს არ მეორდება“, მაგრამ თქვენ უფლება გაქვთ, როდესაც გნებავთ მოსპოთ იგი. ეს აზრი თომსონმა წარმოსთქვა იპოხონდრიის დროს და მით ჭეშმარიტად შეუძლიან ისარგებლოს ყველამ, ვისაც ეს ცხოვრება მიაჩნია უფრო ბოროტების ქვაბათ, ვიდრე სიამოვნებისა და სიხარულისადგილათ. მასზე, ვითომც სიცოცხლე არა ღირს ცხოვრებათ, ჰქადაგობს თავის მკვლელთა მთელი ლაშქარი, რომელიც ყოველი ახალი დღით უფრო და უფრო მრავლობს, მაგრამ ეს კითხვა ჩვენ თითონ უნდა ავწონოდ და განვიხილოთ, რადგან ჩვენ იგივე ბუნებისა ვართ, რომლისაგანაც ეს თავის მკვლელები არიან და მათი ცხოვრება სიცოცხლე არის იგივე, რომლითაც ვსარგებლობთ ჩვენ. გონებით პატიოსნება, მომეტებულად კი სულითადი სიმამაცე და პატივი არ გვაძლევენ დავივიწყოთ ეს შემთხვევები.

ეხლა, ამბობს, რესკინი საუცხოვო სადილის დროს, ლონდონის უცხო და უზრუნველ წარმომადგენელთა შორის, ერთბაშად კედლებმა რომ გაიწიონ და ამ კედლებიდგან შემოვიდნენ და შემოუეროთდნენ ჩვენ პატარა მოქეიფარ საზოგადოებას ყოველნი გაჭირვებულნი, რომელნიც იხოცებიან შიმშილით, მივიდნენ და ყველა სკამს მოუდგნენ თითო-თითო, ნუთუ ამ შემთხვევაში იმათ უნდა გაუზიარონ მარტო მარცვლები ტკბილი საჭმელებისა? მაგრამ ნამდვილი ფაკტები, ნამდვილი შეხებულობა ყოველი მდიდარი და ლაზარესი არ ითმენენ არა-რა ცვლილებას მისგან, რომ მარტო კედელი ჰყოფს მაგიდას ავადმყოფების საწოლიდგან, რომ მარტო რამდენიმე ფუტი არის კმაყოფილებისა და გაჭირვების შუა.

გრიშა ალგეთისპირელი

(დასასრული იქნება)

## სამეურნეო ცნობა

### მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

მახვეღი. ძახველი, ჯახველი (ქართული) ჯახველი (იმერული) პლოჯახრი, კაგამუხ (სომხური) ბაშინ—ალაჯ (თათრული) მირტკა (ოსური) ზერიგერ, ზარგეი (ჩერქესული) კალინა (რუსული) ვიბურნუმ ოპულეს (ლათინური) გვარობს ყველა ნიადაგზე, მთებში და ტყეებში, სიცივისა არ ეშინიან, ყვავილი მშვენიერი სურნისაა, აქვს წითელი ნაყოფი, მობრტყო თესლი, რომელსაც ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად შიდა რუსეთში ხმარობენ საჭმელში, გარდა ამისა მის ნაყოფს ხმარობენ ხველების წინააღმდეგ. მოხარშული ნორჩ ყლორტების წვენს ხმარობენ სურავანდის წინააღმდეგ, რომლის წყალშიაც აბანავებენ სურავანდიან ყმაწვილებს. მის მასალას ხმარობენ სადურგლოში, მაგრამ მათში არის ერთი შესანიშნავი, თვალ-საჩინოთ მსხვილ ყვავილიანი ჯიში, რომელსაც უწოდებენ, „ბულ-დენჯი“, მას რგავენ ყვავილ-ნარების და ეზოების დასამშვენებლად. მრავლდება თესლით გაზაფხულობით. თუმცა ეს ზემოთ აღწერილი მცენარები გვარობენ ყველა ნიადაგზე, მაგრამ მათთვის საუკეთესო ნიადაგათ ითვლება: ფხვიერი და ნოყიერი მიწა, ამისათვის დარგვის დროს სჯობია, რომ მიუმატოთ დამიწავებული საქონლის ფეინი ან კიდევ დამიწავებული ტყის მიწა უბრალო მიწაში არეული. რაც შეეხება გადარგვის წესებს, ესენიც იმ წესით უნდა გადირგეს, როგორც წინათ მქონდა აწერილი, ხოლო ერთი მცენარე მეორეს უნდა შორავდეს ორი არშინიდგან დაწყებილი სამ არშინამდისინ.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც» № 740.

## სამკურნალო ცნობა

სოფელში მცხოვრებთა საყურადღებოდ. დიდი მნიშვნელობა აქვს ახლად დაბადებული ბავშვისთვის რიგიან სმა-ჭამას, მით უფრო საჭიროა, რომ პირველ წელიწადში ბავშვის სხეული ძალიან ვითარდება და სიმძიმეც შესამჩნევად ემატება, როდესაც ბავშვს რიგიანი ჭამა არ აქვს, მაშინ კუჭისა და წლების ანთება ემართება. თუ დედა ჯანსაღია, აუცილებლივ თვითონ უნდა აწოვოს ძუძუ, რადგანაც ძიძის რძე მეტად მავნებელია და რაიცა შეეხება რეზინებით და კოტოშებით წოვება ხომ სასიკვდილოთ მოქმედებს ბავშვზედ და მრავალნიც წაუმძღვარებია სამარისკენ. პირველ ორ სამს თვეს ბავშვს ორ საათში ერთხელ უნდა მისცეთ ძუძუ, —სამი თვის შემდეგ სამ საათში ერთხელ. ამაზედ ხშირად ძუძუს მიცემა ბავშვისთვის მავნებელია. ჩვენში საერთოთ მიღებული აქვთ დედებს: რამწამს ბავშვი იტირებს, მაშინათვე პირში ძუძუს მისცემენ. ხშირად ბავშვი სტირის, როცა ან ჭუჭყი აწუხებს, ან სველ ქვეშაგებში წევს, ან მუცელსა ჰკვრეხს. ბავ[illegible] კბილების ამოსვლის დროს საჭმელი უნდა შეეცვალოს, ძუძუს გარდა, ძროხის რძეც უნდა ასვათ. რძე უნდა ჩაასხათ ჭურჭელში, ადუღებულ წყალში ჩაუშვათ და ისე გაატხელოთ. ცეცხლზედ ადუღებული და ან ადუღარი რძე ბავშვისთვის მავნებელია. ცხრა თვის ბავშვს დღეში ერთხელ უნდა დაალევინოთ რძე ცოტა შაქრით დატკბარი; წლამდის ძროხის რძის ჭმევა თან და თან უნდა უმატოთ წლისას კი სრულიად უნდა გაამშვებინოთ ძუძუს წოვება. ცხრა თვემდის ბავშვს თუმცა კბილებიც ამოუვიდეს, პური არ უნდა აჭამოთ, მეტადრე შავი პური, რომელიც მეტად მავნებელია არამც თუ კუჭისთვის და სხვა სტომაქის ავადმყოფობის ასაშლელად, არამედ ბავშვს უჩენს სურავანდს. შვიდ წლამდის ბავშვის ძროხის რძით კვება უფრო სასარგებლოა, ვიდრე ხორცეულობით; აგრეთვე სასარგებლოა მწვანილეულობით და ხილეულობით კვებვა. რასაკვირველია, ყველა ამ შემთხვევებში ზომიერება დაცული უნდა იყოს.

ივ. კავთელი.

### გამოსადეგი ცნობა

თაგვების დასახოცი წამალი უნდა აიღოთ კოშტი კირი და დანაყოთ სუფთად, შემდეგ გასცრათ საცერში. კირის პარაშოკში გადურიოთ სანახევროთ შაქრის პუდრა და დადგათ იმ ადგილებში, სადაც ხშირათ ირევიან თაგვები და გაკეთებულ სოროების მახლობლად. შეზავებული წამალი ტკბილია და თაგვები დიდის სიამოვნებით შეექცევიან. რა წამს კირი კუჭში ჩასდის თაგვს და კუჭის მჟავე წვენში ერევა, მაშინვე ანთებასა ჰკვრის და

ხოცავს. ეს წამალი ყველანაირ ჯურის თაგვებზე ერთნაირად მოქმედობს და ხოცავს.

## ყურმოკრული საუბარი

— ჩემი ქალბატონი და ბატონი ყოველ დღე ჩხუბობენ.

— მართლა?

— იმათი ჩხუბი სწორეთ ვეფხვის დაგეშვას მოგაგონებს.

— ვეფხვი რომელია?

— ვეფხვი ქალბატონია, მაგრამ ჩხუბის დროს კი ბურტყლები ბატონს სცვივა ხოლმე.

—

— ძალიან ცუდათ არის ჩვენი საქმე!

— რა ამბავია?

— რაღა რა ამბავია, სამმართველოდამ ქაღალდი მივიღეთ და ვერ გავიგეთ: ისინი გვწერენ იმ ქაღალდს, თუ ჩვენა ვწერთ?

— ეგ სულ უბრალო საქმეა! ისეთი პასუხი მივწეროთ, რომ ვერ გამოიცნონ, ჩვენა ვსწერთ იმ პასუხს, თუ თვითონ მათ დაუწერეს თავის თავს.

## გასართობი

—

სამართლიანი პასუხი. ერთხელ სოლონი ერთს კამპანიაში შეესწრო, ჩვეულებრივათ ჩუმად იჯდა და არ ლაპარაკობდა. იმავე კამპანიაში იმყოფებოდა ერთი მასხარა და ამხიარულებდა ხალხს თავისი ოხუნჯობით.

— ეს კაცი ვინდა არის, გაჩუმებული რომ ზის, სწორეთ სულელი იქნება, რომ ხმას არ იღებსო?“—დაასრულა თავის ოხუნჯობა მასხარამ. სოლონმა წარბიც არ შეიხარა მასხარას სიტყვებზე და დინჯად უპასუხა:

— ჯერ ისეთი სულელი არ დაბადებულა ქვეყანაზე, რომ ჩუმათ ჯდომა შეეძლოსო.

—

ბებერი ქალი მუდამ თავს იპატარავებს. ერთხელ ციცერონი ერთი კამპანიის ვახშამზე დაესწრო, სადაც სხვათა შორის იყო ერთი ბებერი ქალი. ლაპარაკი ჩამოვარდა წლოვანობაზე; ბებერმა ქალმა დაიწყო მტკიცება, რომ ის მხოლოდ ორმოცი წლისა არის. ერთმა მეგობართაგანმა წასჩურჩულა ყურში ციცერონს:

— ორმოცისა კი არა ოთხმოცსაც ბევრი არ უკლია; სულ სტყუის რასაც ამბობსო. ციცერონი მიუბრუნდა და ხმა-მაღლა უპასუხა: „როგორ შემიძლია მაგ ქალის სიტყვა არ ვირწმუნო?!. მთელი თხუთმეტი წელიწადია მეფიცება, ორმოცი წლის ვარო.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

1 თებერვალი

**პარიზი.** დარწმუნებით ამბობენ, რომ მოლაპარაკებას საფრანგეთსა და ინგლის შორის კარგი შედეგი მოჰყვებაო. ინგლისი კანონიერად სცნობს საფრანგეთის სურვილს იმის შესახეს, რომ მას გასასვლელი გზა მიეცეს ნილოსისაკენ. იმედი აქვთ, რომ ამ ორ სახელმწიფოს სამფლობელოები განსაზღვრული იქმნება.

არჩევანების დროს ქენის დეპარტამენტში რადიკალი ბასსინე არჩეულ იქმნა სენატორად 394 ხმით სოციალისტის ბურნევილის წინააღმდეგ, რომელმაც 313 ხმა მიიღო.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

**„ბ ე რ ა ნ ჟ ე“**

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—4)

კავკავში

**ქართული წიგნებით ვაჭრობას**

მთავრობის ნებადართვით ვხსნი ამ დღიდან, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ქართული წიგნების გამომცემლებს, თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდლად დაკლებით არა ნაკლებ 20%.

ადრესი: Владикавказъ. Ивану Семеновичу Месхiеву.

პატივისცემით ივანე მესხიევი

იაკობ გოგებაშვილის წიგნები

**ხხივი წარსულისა**, ისტორიული ამბავი, ფასი ერთი შაური.

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, ისტორიული მოთხრობა, ფასი ერთი შაური

**მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი აბაზი.

**თავდადებულნი ქართველნი**, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

**ახპინძის ომი**, ისტორიული მოთხრობა, მეფე ერეკლეს პარტრეტით და ქარტით, მეორე გამოცემა, ფასი ორი შაური.

**РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванiю по русскому слоу, გამოცემა მეორე, შევსებული, ფასი ყდით სამი აბაზი.

**ОЧЕРКЪ**, сравнительной грамматики русскаго и грузинскаго языковъ ფასი ერთი აბაზი.

**КЪ ВОПРОСУ**, поднятiй уровня образованiя среди грузинскаго дворянства, ფასი ერთი აბაზი.

**РАЗБОРЪ**, учебныхъ руководствъ по русскому языку, ფასი ერთი შაური.

**НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО**, ფასი ერთი აბაზი.

ყველა ეს წიგნები იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და დასავლეთს საქართველოში წიგნის მთავარ მაღაზიებში: ბექანეიშვილთან, თავართქილაძესთან, წერეთლებთან, ხეთერელთან და ქილაძესთან. (6—2)

## БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА со всѣми ПРИЛОЖЕНIЯМИ: съ пересылкою На ГОДЪ **4** РУБ. второе изданiе

ПОДПИСНАЯ ЦѢНА со всѣми приложенiями съ пересылкою на три мѣсяца . . 1 [р.] На мѣсяцъ 35 к.

**БОЛЬШАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ БЕЗЦЕНЗУРНАЯ ГАЗЕТА.**

**иллюстрацiи** на событiя дня какъ русской, такъ и иностранной политической и общественной жизни помѣщаются не только въ литературной части воскресныхъ нумеровъ, но и въ самой газетѣ

**ЕЖЕДНЕВНО**

По воскресеньямъ выпускается сверхъ газетнаго листа особое литературное прибавленiе, печатающееся на бѣлой глазированной бумагѣ и составляющее особый еженедѣльный

**безплатный иллюстрированный журналъ**

Въ предстоящ. году будутъ напечатаны «Колесо Фортуны» романъ Независимаго **I. I. Ясинскаго.** «въ муромскихъ лѣсахъ» повѣсть Е. А Салiаса **„письма“** Н. А. Лѣскова. **«городской голова»** романъ Вас. Ив. немировича-данченко **„ЛУЧИ“** повѣстъ К. К. Случевскаго «ТАЛИСМАНЪ» историчес. романъ проф. П. Безобразова.

Самостоятельный въ своихъ суж[де]нiяхъ, чуждый тенденцiознаго из[ложе]нiя фактовъ и безусловно незав[иси]мый органъ печати. Ярко освѣ[щая] всѣ явленiя общественной жизни, и[мѣя] огромную сѣть корреспондентовъ, газета при всей своей твердости, неуклонности, справедливая и безстрастная, уже много лѣтъ является несомнѣнно, *наиболѣе полнымъ* **выразителемъ нуждъ провинцiи.**

Главные отдѣлы газеты, а въ особенности передовой, политической, [загранич]ной и провинцiальной общественной жизни, фельетона, телеграфной корреспонденцiй и пр.,—по своей [пол]нотѣ и свѣжести совершенно от[ли]чаютъ подобнымъ-же отдѣламъ д[ру]гихъ большихъ столичныхъ газетъ. [В]ней нѣтъ ненужныхъ несвязанныхъ случайныхъ замѣтокъ, а ихъ замѣня[етъ]

**ЖИВОЕ СЛОВО.**

ГЛАВНАЯ КОНТОРА: С.-Петербургъ, Невскiй, 28.

*Въ 1898 Году болѣе 60,000 подписчиковъ* (6—3)

Открыта подписка на журналъ **„Новый мiръ“** на **1899** годъ **14 р.**

Подписная цѣна годовому издаiню „НОВЫЙ МIРЪ“ со всѣми премiями и приложенiями съ дост. и перес.

**ПОДПИСЧИКИ „НОВАГО МIРА“ ВЪ ТЕЧЕНIЕ 1899 г. ПОЛУЧАТЪ СЛѢДУЮЩIЯ ШЕСТЪ ИЗДАНIЙ:**

I. ЖУРАЛЪ **„НОВЫЙ МIРЪ“** СЪ СОВРЕМЕННОЮ ЛѢТОПИСЬЮ 24 выпуска въ годъ въ форматѣ лучшихъ европейскихъ иллюстрацiй.

II. особый иллюстрир. отдѣлъ **„МОЗАИКА НОВАГО МIРА“** (24 выпуска въ годъ) составляющiй какъ бы самостоятельный журналъ по прикладнымъ знанiямъ, вмѣшающiй въ себѣ 16 рубрикъ.

III. ЖУРНАЛЪ **ЛИТЕРАТУРНЫЕ ВЕЧЕРА „НОВАГО МIРА“** 12 ежемѣсячныхъ иллюстрированныхъ книжекъ романовъ и повѣстей для семейнаго чтенiя.

IV. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго собранiя сочиненiй *И. И. Лажечникова,* (ТОМЪ 1—6)

V. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго иллюстрирован. собранiя сочиненiй *Генриха Гейне,* въ переводѣ русскихъ писателей, подъ редакцiи В. В. ЧУЙКО (ТОМЪ 1—6)

IV. **ДВѢ** изящно переплетн. кни[ги] ФОРМАТА in-folio РОСКОШНАГО ИЗДАНIЯ *Живописной Россiи* посвященныя описанiю черноземныхъ, нестепныхъ губерн. и донско-каспiйской обл.

(12—1)